ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№30 აპრილი, ორშაბათი, 2018 წელი

აწა, აღდგომა ქრისტეანეცი...

ვითარ ვუხდოუკი,
ფშვინვეს ირეკლად ყოველი ვეზის,
გეფოთლილ ლეღეზე ფეთქეს ვენაცი,
დაცლილი ფოლნით...
ხახხლეხოსკო ჩემი,
ბერეზე ვეოსკი ჭითოულად ხაზვნის!
„დაშხუსენ, აძოვენ,
ყოველი ჩემი, ცხოვეთნი ჩემი"!
თუმც ვეუოვეს მიოხს შენსეს
სხვა ხეოვველი,
მეინც შოშხვნეთ ირეხვა
ღონეს ცაძოის ბჭენი!
მოუძღვეს ცანყოს
ყოველთ ხელში, ნეზეოვველი!
„მე ვარ ვენეხი,
დაიეთხნეთ მკნვეხი ჩემი"...
მწვანე ბალახზე
ყმაი აწყოს ყვეოკნეს, დაღვნილს
და თოთეს ხეხოელი, მოხვეხე
ნუვეშის მეენი...
აღიდგენეს ვალობითი თლილი თაღვნი!
... „დაშხუსენ, აძოვენ,
ყოველი ჩემი, ცხოვეთნი ჩემი"!
ვდეოთ მეცხოვეთს:
და თუ ვეშვეთ: –
„ჩვენთეს ათს ღეშეოთ!",
მონახვეეთ ვაძოვეხსნეთ
მოშაელეს ღონი.
აწა, აღდგომა ქრისტეანეცი,
აღდგომა მყვდოვეთეთ!
„დაშხუსენ, აძოვენ,
ყოველი ჩემი, ცხოვეთნი ჩემი"...
შეეუდგეთ ლეთი ხაყვეთულეს,
ნყოოს დეხოვეცილს,
ვვეყოეა სხვეთა ხაეშვლად
ოეკ ეენი ვეხნეთ,
ვეშენოთ ხვალეს ბალეეთი

მხოლოდ ვეხქვეოცეთ!
„დაშხუსენ, აძოვენ,
ყოველი ჩემი, ცხოვეთნი ჩემი"...
მიხეს – ხვეთბალი ხვალეოელი,
ცეს – შხეს ხეთდანი!
ვვეეშვეოს ბედმა ლაშქენი
ცოვშლენეს შდენი!
იყავნ მაღალი,
იყავნ მოთელი,
მძლე და ვაძცანი!
„დაშხუსენ, აძოვენ,
ყოველი ჩემი, ცხოვეთნი ჩემი"...
აწა, აღდგომა ქრისტეანეცი!
იხარეთ,
ცხონდით!
მოსახხლე მცენოსაც
მიეეგებოთ აღეენი ხვენთ!..
და ყოკნეს ყვეოცენს უფლეს ჩაცი, –
ქანეოს ცოცი...
... „მე ვარ ვენეხი,
დაიეთხნეთ მკნვეხი ჩემი..."

ოვხი აძაშუკელი

მწერლის გახსენება

,,არგვეთის სივრცემ ჩამაწურა სულში ფირუზი...“

ჩემი თაობის ახალგაზრდობა წყაროს წყალივით ეწაფებოდა მუხრან მაჭავარიანის პოეზიას. მის ომახიან პოეტურ ხმას მთელი საქართველო უსმენდა და სულიერად მაღლდებოდა. მომავლის რწმენა და იმედი ემატებოდა. სულით ხორცამდე გატყვევებდა მუხრანის პოეზია:

,,შენ, სისხლო ჩემო,
სად არ დაღვრილო...
შენ, სად არ გხვრეპდა
შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს,
ნადიდგორალი, ნაშამქორალი.“

თუნდაც, პოეტის შეუდარებელი ,,საბა“ რად ღირს:

,,წვიმა არ არის,
საბას კაბა დაუსველა რამ?!
თოვლი არ არის,
საბას თავი გაუთეთრა რამ?!
ყინვა არ არის,
სულხან-საბას აკანკალებს რა?
...საქართველოა მისთვის წვიმაც,
თოვლიც და ყინვაც“.

ვეწაფებოდით მის შედევრებს, ,,საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი“, ,,ვაი, თქვენს პატრონს“, ,,თქვა ოპიზარმა“, ,,დავითი და კონსტანტინე“, ,,დუმილი რეკავს“ და სხვა.

,,სხვისი მისაბაძი რა გჭირს, თვარა კი“ — წერდა მუხრანი და ასეც იყო. მოდიოდა და მოარღვევდა პოეზიის უკიდეგანო სივრცეს, მოჰქონდა ახალი ორიგინალური სათქმელი, ახალი რითმა და რიტმი.

მის პოეზიაზე აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა. ზოგი ეთანხმებოდა, ზოგი არა. მაგრამ ყველასთვის საერთო აზრი იყო ის, რომ მუხრან მაჭავარიანი არავის არ ჰგავდა.

პოეტი პირველად 1964 წელს ვნახე, როცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. მუხრან მაჭავარიანი უნივერსიტეტს ეწვია. სწორედ იმ დღეს, საქართველოში ვულკანივით იფეთქა მის მიერ წაკითხულმა ლექსმა:

,,ნაკუწ-ნაკუწ,
ნაკუწ-ნაკუწ კი არა,
გაუმარჯოს, გაუმარჯოს
მთლინად,
მიწიანა, კაციანა, ციანა,
საქართველოს მოთმინების ფიალას“.

კიდევ ერთი ლექსი წაიკითხა იმ დღეს მუხრანმა, რომელიც ასე მთავრდებოდა: ,,ახლა კი დროა, სოლომონ, რომა, კვლავ დაიქუხოს საქართველომა“.

დარბაზი აპლოდისმენტებმა შეაზანზარა. გარეთ გამოსული მუხრანი ხელში აიტაცეს. მისი ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა. ხელნაწერები ვრცელდებოდა და შეიძლება ითქვას, დამოუკიდებლობას მოწყურებული მთელი საქართველო მუხრანის ლექსებით საზრდოობდა.

კომუნისტური რეჟიმის პირობებში, როცა უმკაცრესი იყო ცენზურა, უმკაცრესი იყო კანონი დისიდენტებისა და სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანების მიმართ, პოეტისაგან ასეთი პატრიოტული სულისკვეთება ნამდვილი გმირობა იყო.

ხალხმა გულში ჩაიხუტა მუხრანის გაბედული ლექსები, მაგრამ სხვაგვარად განეწყო მის მიმართ მაშინდელი ხელისუფლება. ბევრი უსიამოვნება შეხვდა პოეტს, მაგრამ ვერ აიძულეს გაჩერებულიყო. იგი წერდა:

,,ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს!“ – და, მართლაც, ასე იყო. შემდეგ გამოიცა მისი ლექსების ციკლი ,,1832“, რომელიც დასაწყისშივე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. არსებული მანკიერების მიმართ მამხილებელი ტონი, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და თავისუფლების წყურვილი, პატრიოტიზმსა და ეროვნულ ცნობიერებას აღვივებდა მკითხველში.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მუხრან მაჭავარიანმა თავისი პოეტური სიტყვით, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი.

გაზეთ ,,ნერგში“ (ყოფილი ,,ნორჩი ლენინელი“) მუშაობის დროს, ბატონი მუხრანისაგან ინტერვიუ ავიღე, რომელიც მისივე ლექსის ფრაზით დავასათაურე, ,,არგვეთის სივრცემ ჩამაწურა სულში ფირუზი“. პოეტი მაშინ ჟურნალ ,,საუნჯე“-ს რედაქტორი იყო. ჩემთვის, ახალგაზრდა ჟურნალისტისთვის დიდი პატივი იყო მასთან შეხვედრა, საუბარი. დიდი ინტელექტის მქონე, კულტურული, თავმდაბალი, სულით არისტოკრატი პიროვნება გახლდათ.

მისი კეთილი დამოკიდებულება ჩემდამი რწმენას მმატებდა. სიყვარულით მესაუბრებოდა თავის ბავშვობაზე, უძველეს ღვთისმშობლის ტაძარზე. მოწიწებით იხსენებდა საყვარელ მშობლებს, მამიდა ცაგურას, ნათესავებსა და მეგობრებს.

ლექსების წერა შაირებით დაუწყია, რომლებიც შინაურებზე იყო გამოთქმული. პოეტი სოფელში ერთ წლამდე იზრდებოდა, შემდეგ მშობლებს ქალაქში ჩამოუყვანიათ. ყოველ ზაფხულს არგვეთში ატარებდა.

ბატონ მუხრანს ვუთხარი, რომ ჩემი უსაყვარლესი ბებია – ივლიტე მაჭავარიანი იყო და ამიტომ, ძალიან მიყვარდა მაჭავარიანები. გაუხარდა და მითხრა, რომ მის საგვარეულო, გენეალოგიურ შტოზე ნათესავებს შორის ბარათაშვილებიც იყვნენ. ასე რომ, არა მხოლოდ ინტერვიუ შედგა, არამედ ბატონ მუხრანთან ნათესაური კავშირიც აღმოვაჩინე.

შემდგომში, ისევ შევხვდი ბატონ მუხრანს. მაშინ იგი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახლდათ. სიამოვნებით მიიღო ჩვენი რედაქციის თხოვნა – საახალწლოდ მისალმებოდა გაზეთის მკითხველებს. პოეტის ხელნაწერს, ტექსტის ორიგინალს დიდხანს ვინახავდი რუდუნებით. მაგრამ, სამწუხაროდ, დავკარგე, როდესაც მაშინდელმა ხელისუფლებამ მოულოდნელად, ყოვლად უსამართლოდ გამოასახლა გამომცემლობა ,,სამშობლო“-ს შენობიდან უამრავი რედაქცია, მათ შორის ,,ნერგიც“.

ერთი პერიოდი ბატონი მუხრანი ჟურნალ ,,დილა“-ს რედაქტორობდა. ,,სამშობლო“-ს შენობაში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, გულიანი მისალმება და მოკითხვა იცოდა.

მთელი ქართველი ინტელიგენცია შესძრა ჟურნალ ,,დილა“-ში დაბეჭდილმა იორამ ქემერტელიძის ალეგორიულმა პოემამ – ,,ზოოპარკი“. ქვეტექსტების საშუალებით პოეტმა ამხილა არსებული რეჟიმი, ხელისუფალთა განცხრომა და უზრუნველობა. პოემა ხელიდან ხელში გადადიოდა. დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზოგადოებაში. მუხრანი შვებულებაში იყო, პოემის მამხილებელი ტონის გამო ხელისფლებას ეჭვი გაუჩნდა, რომ ნაწარმოები მას ეკუთვნოდა, ხელს კი სხვა აწერდა. მაგრამ მუხრანს მაინც ვერაფერი შებედეს. მოხსნეს რედაქტორის მოადგილე იორამ ქემერტელიძე და პასუხისმგებელი მდივანი, შესანიშნავი პოეტი, ლექსის ,,დაბადება“-ს ავტორი ანზორ აბულაშვილი.

მუხრან მაჭავარიანი ქართული პოეზიის მუხა იყო, მეფური გარეგნობის, განუმეორებელი ბუხუნა ხმითა და მუხასავით წაიქცა რუსთაველის თეატრში, სიტყვით გამოსვლის დროს. გამორჩეული იყო და გამორჩეულად აღესრულა. დამთავრდა დიდებული ეტაპი ქართულ პოეზიაში მუხრანის, მურმანის, ანას, შოთა ნიშნიანიძის, ოთარ ჭილაძის...

მუხრან მაჭავარიანი – აწ უკვე მარადისობის მკვიდრია, ზეციური საქართველოდან გვაფხიზლებს და გვამხნევებს.

12 აპრილს 88 წელი შეუსრულდებოდა...

,,ძე ქუხილისა“ – ასე ჰქვია წიგნს, რომელიც პოეტს მეუღლემ – ლამარა ბოკერია-მაჭავარიანმა მიუძღვნა. ძე ქუხილისა კი, მას, უწმინდესმა და უნეტარესმა – ილია მეორემ უწოდა. ქალბატონი ლამარა საფუძვლიანად მიმოიხილავს პოეტის შემოქმედებას, გვაცნობს მნიშვნელოვან ეტაპებს მუხრან მაჭავარიანის ცხოვრებიდან. სიყვარულით იხსენებს მეუღლესთან თანაცხოვრების წლებს.

ამ წიგნიდან შევიტყეთ, რომ პოეტს, რომელსაც მთელი საქართველო ეთაყვანებოდა, ცხოვრების გზა ია-ვარდით არ ჰქონია მოფენილი. შემოქმედებით სიხარულთან ერთად, არც უსამართლო კრიტიკა და დევნა იყო მისთვის უცხო. ბევრი განსაცდელი გამოიარა ხუნტის ბობოქრობის ჟამს. მუხრანის ბინა ტყვიებით დაცხრილეს, ნატყვიარები დღესაც ეტყობა სახლს... თუმცა, მუხრანი მუხრანად დარჩა, დიდსულოვან ადამიანად და ღირსეულ პოეტად, ასე გადაეცემა მისი სახელი შთამომავლობას. ერმა მას განსასვენებელი ადგილი მთაწმინდაზე მიუჩინა, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის და სხვა დიდი მოღვაწეების გვერდით.

წიგნი, რომელზედაც გიამბეთ, არაჩვეულებრივი მაგალითია ცოლ-ქმრული სიყვარულის, ერთგულებისა და იმ დიდი პროფესიონალიზმის, რომლითაც ასე ლამაზად და დიდებულად დაანახვა ავტორმა ერს მისი სათაყვანებელი პოეტი.

,,მე საქართველო არ მსურს ამგვარი“ – ამბობს მუხრანი, ,,დროზე და მალე ვიხილო, უნდა მე, საქართველო როგორიც მინდა!“

ვინძლო, პოეტის ეს სურვილი მალე აცხადდეს!

ლინა ბარათაშვილი
პოეტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

პუბლიცისტიკა

„ლიტერატურული ხაშური" ქალბატონ ნანი გაჩეჩილაძეს ულოცავს დაბადების დღეს და ახალ ამპლუაში – თარგმანით წარმოგიდგენთ ამ მრავალმხრივ ნიჭიერ ქალბატონს.

შოთა დარბუაშვილი – თარგმნა ნანი გაჩეჩილაძემ

Белая сирень

Помнишь, ты, наш город, мой дом с мезонином?
И белой сирени запах не земной,
Волшебных сказок вспомни ты дни,
И фейерверк свадьбы солнца и луны.
В радужных грёзах воздвиг я дом-крепость,
И как принцессу ввёл тебя в нём,
Родная мне мама платье тебе сшила,
И ты величием блистала вновь...
Помню минуты бушующих дней,
И твой лучезарный лик,
Нежная, ласковая, мною обожаема,
Как всё изменилось в миг...
Чёрная мгла окутала рассвет,
Огненными дождями ликует момент,
Обеднел мой стих, хромают рифмы,
Без тебя, мой город, жалок твой поэт!
Откликнись, отзовись божественный мой город,
Ты совесть моя и честь!
На крылатом коне примчусь я к тебе,
И вновь автограф оставлю тебе,
В Цхинвали орёл орлам созывает,
Укрепляя для взлёта им криля,
Грузия белых голубей окрыляет,
Символом мира вскоре прилетает,
Спешите, спешите, откройте окна!
Распахните ворота – мы ждём,
Белым флагом дружбы – с белой сиренью
Услышь, мой Цхинвали, – мы ждём!!!

Снежный дуэт

Падает снег... под покровом снежным,
Затих мой Цхинвал вдали,
Душа полна белоснежным покоем,
И мы, со снегом, шагаем одни...
А снегопады, как ангел-хранители,
Город мой стерегут
Души моей горячие слёзы
Чую, покой обретут.
Память не гаснет, воспоминания
И на яву и во сне,
В стихах и песнях горчит одиночество,
Вселилось в тебе и во мне...
Ты дар мне божий, мой город детства,
Величием твоим я горд,
Хоть ты далёк, наши сердца
Бьются опять в унисон.
В белом одеянии затих мой город,
Скучает он по мне,
И боль и грусть, „Надежда" и „Вера"
У нас одна, поверь ты мне!

ვუძღვნი შესანიშნავ ექიმს, კეთილშობილ ქალბატონს – ლალი მაკარიძეს

Мой ангел земной!

Трудно тебе стих посвящать,
Беден мой поэтичный словарь,
Я не Ахматова и не Цветаева
И высшей поэзии главарь.
Постараюсь, попробую, муза поможет,
Подарим крылатых слов,
Верю, фортуна не отвернётся
И стих родится вновь...
Твой высший критерйум – нравственность!
И ведаешь, что честность – добро,
Тебе чужды лживые похвали,
Так-так ложь и обман – это зло.
У тебя личная женская линия,
Богатство твоё – это внутренний мир.
Улыбкой магичной лечишь больного,
Безнадёжность, тоску прогоняешь в миг.
Одно я знаю – нежный мой ангел,
Чужды тебе бесчувственные маски,
Земная фея, без ангельских крыльев,
Открой нам секрет: из какой-же ты скажи!

უხმაურო ტრიუმფების მომსწრე ...

ჩემი ცხოვრება სავსეა გამორჩეულ ადამიანებთან ურთიერთობებით. მათ შორის არის ნანი გაჩეჩილაძე – ქალბატონი, რომელიც ხაშურის შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია:

ინტელექტუალი,წიგნიერი,იმპროვიზაციის ოსტატი. მისი ცხოვრება და შემოქმედება სრულ უნისონშია მის პიროვნებასთან. დიახ, ასეთ პიროვნებასთან ურთიერთობა გამაღლებს და ალამაზებს შენს ირგვლივ არსებულ სინამდვილეს.

ნანი გაჩეჩილაძისეულ პოეტურ, შინაგან სამყაროს ერთი ძლიერი თვისებაც გააჩნია – მას შეუძლია სხვა ადამიანის დანახვა, მისი წარმოჩენა.

ვინ იცის, რამდენ გადანახულ ფიქრს იტევს მისი სულიერი სამყარო...

კიდევ დიდხანს ეხაროს, ემძლავროს თქვენს სიტყვას, ქალბატონო ნანი!

შოთა დარბუაშვილი

გაფრენილა სიყმაწვილე

დამითვალე ნაოჭები, –
ეს ხომ ჩემი ნლებია,
თვალში ცეცხლი თუ ჩამიქრა –
დროის განაჩენია.
თეთრ რაშებზე გადამსხდარან
ნლები, როგორც მხედრები,
გარეგნობით არამიშავს,
თუმცა, ვგრძნობ, რომ
ვბერდები...
გულიანად ველარ ვმღერი,
ხმაში ბზარი გამიჩნდა,
როგორ გაქრა სიყმანვილე,
ნლები როგორ გაფრინდა?!
რა მახარებს?–ჩემი გიგას
თუნდაც, ნამით დანახვა,
მის გულისთვის გადავიტან
თუნდაც, გულის დალახვრას.
ჩემს ხატულა შვილიშვილებს,
ღმერთო, მიეც სიკეთე,
მათი თანამგზავრი იყოს
სიყვარული, სიქველე!

ნანი გაჩეჩილაძე

აპრილის სევდა

სიზმრად ვნახე თეთრი გედი

– სიზმრად ვნახე თეთრი გედი... ნეტავ, დედა, რაო?
სანთლები და მგალობლები... ნეტავ, დედა, რაო?
დედი, დედი, თეთრი გედი სულ მე მედარაო,
ფრთას მიქნევდა და მღეროდა... ნეტავ, დედა, რაო?
– თეთრი გედი მღეროდაო? ვაჰ, შენს დედასო!..
შენკ სიმღერით მომიკვდები... ვაჰ, შენს დედასაო!
– ვითომ ჩემი თეთრი კაბა ტალღებს ეფარაო,
შავს მიჰქონდა მდინარესა... ნეტავ, დედა, რაო?
– თეთრი კაბა ნყალს მიჰქონდა? ვაჰ, შენს დედასაო!
შვილო, შავეთს გათხოვდები... ვაჰ, შენს დედასაო!
– მინას ხარი ჩაღმუოდა... ნეტავ, დედა, რაო?
– შვილო, მამაშენი არი... ვაჰ, შენს დედასაო!
– ეგრე მნარედ რომ ყმუიან, ნეტავ, დედა, რაო?
– ეს ალგეთის ლეკვებია, ვაჰ, მათ დედასაო!
– ვითომ ყვავილები ნვიმდა... ნეტავ, დედა, რაო?
– საქართველო ატირდება... ვაჰ, შენს დედასაო!..

შოთა ნიშნიანიძე

მოლოდინი განთიადისა

ჰგავდა თბილისი აპრილის ღამეს,
აპრილი იდგა თეთრი სამოსით
და რუსთაველზე მთვლემარე ჯადრებს
ძილში ესმოდათ ლექსი ლადოსი...
ჰგავდა თბილისი ვეება ტაძარს
და ლოკვად იდგა ჩემი მამულიკ,
ვინ იფიქრებდა, რომ ბნელი ძაძით
ჩაგსაფრებოდა მტერი ფარულად...
ასე ფხიზელი, ასე მართალი,
ასე დიადი და ერთიანი, –
დიახ, ვიყავით მთელი ზამთარი,
მაგრამ აზრითაკ ასე მთლიანი!
ღმერთო, რამდენი ნელი დაგვჯირდა,
ღმერთო, რამდენი მზე და ოკნება.
ეს შენ იყავი, თუმკა დაჯრილი,
მაგრამ, მტრის ჯიბრზე, ვერ მოკლილი...
და თენდებოდა აპრილის დილა,
იქნებ, სხვაგვარი დილა ნათლისა.
მაგრამ, ვაი, რომ დაგვიფრთხეს ძილი,
ეს რა იხილე, კრო ქართლისავ?!
ქუჩებში ისევ გაისმა ჩეხვა,
თითქოს დაბრუნდა ნარსული ჟამი
და ყველ დროის აღა–მაჰმად–ხანს
ქართველთა ულეტვის აუტყდა ჟინი!
ღმერთო, გვიშველე, თბილისი ბორგავს
და მთანმინდაზე ქარი ქვითინებს...
ან გავიმარჯვებთ, ან უნდა მოვკვდეთ,
გვეყო, ბატონო, რაიკ ვითმინეთ!..

მურად მთვარელიძე

ჩვენი გულმართალი მეგობარი

ივი აპრილის თვეში დაიბადა, აპრილივით მშვენიერი სულის... გულმართალი, ენამჯევრი, ჯეშმარიტი მამულიშვილი, პოეტი – ჩვენი ლამაზი, უებრო მეგობარი, კიკინო ბურნაძე. არ ყოფილა გასული საუკუნის 60–იანი ნლებიდან, ვიდრე მის გარდაკვალებამდე, რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩვენს რაიონში მისი აქტიურობის გარეშე ჩატარებულიყო.

17 აპრილს 75 ნელი შეუსრულდებოდა! ამ დღეს, კიკინოს ხსოვნას მისმა მეგობრებმა საღამო მიუძღვნეს ხკისის საჯარო სკოლაში.

გვენატრება ჩვენი კიკინო ბურნაძე. გვენატრება მისი მართალი, მადლიანი სიტყვა და მშვენიერი პოეზია...

მეგობრების სახელით, მაყვალა ხაჩიძე

ბედნიერება

სიკოკხლე მიყვარს, მიყვარს ძვლებამდე,
მიყვარს არსებით, მთლად გულისგულში.
სიკვდილზე ფიქრებს თუ გავბედავდი,
არკ კი მეგონა, ჯერ კიდევ გუშინ...
მაგრამ რაღაკა მიახლოვდება,
ვგრძნობ და ვკანკალებ, თუმკ, არა შიშით
და რა მოხდება, თუნდაკ, ამ ლექსით
ჩემს თავს სიმართლე რომ ვუთხრა პირში.
ბევრი ნასულა, მეკ ნავალ, ალბათ,
(ხესაკ ხომ ნყდება ყველა ფოთოლი),
აღარ იქნება ჩემთვის სიკოკხლე,
ჰო, ეს ყვავილი და არკ ეს თოვლი...
მაგრამ ამითი არ დანყებულა,
არკ დამთავრდება სიკოკხლე ქვეყნად,
სხვა უამრავი ვინმე იკოკხლებს
და დაიღვრება სიმღერად, ლექსად.
საფლავშიკ ვიგრძნობ, მზე იკაშკაშებს
და დედამინას სხივებით მორთავს,
ბედნიერება, ამაზე მეტი,
რა უნდა სურდეს უბრალო მოკვდავს!

კიკინო ბურნაძე

ახალი წიგნი

17 აპრილს, ხაშურის სამუსიკო სკოლაში ეკა ბაქრაძის ახალი წიგნის წარდგენა გაიმართა. საღამოს ესწრებოდნენ საზოგადო მოღვაწეები თბილისიდან, ხაშურის ინტელიგენკია და ხაშურის მაკორიტარი დეპუტატი, ბატონი სიმონ ნოზაძე.

„უმისამართო წერილი" – ასე ჰქვია კრებულს, რომელშიკ ეკა ბაქრაძის საბავშვო ლექსებთან ერთად, შესულია პიესა „წერილი ტყეში". წიგნს ამავე სახელწოდების სპექტაკლის პერსონაჟების ფოტოები ამშვენებს, რომელიკ საბავშვო–თეატრალური წრის „აკვარიუმის" ნორჩმა მსახიობებმა წარმატებით განასახიერეს ამ რამდენიმე წლის წინ.

„უმისამართო წერილი", საინტერესო საჩუქარი იქნება პატარებისთვის და, არა მარტო, მათთვის.



მხატვარი – ხათუნა ჩიტაძე